ანტიკორუფციული პოლიტიკა

ივნისი 2018 (31), FCC

დამტკიცებულია სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ მიერ,
სამეთვალყურეო საბჭო, 18 თებერვალი, 2022წ.

სარჩევი

0. ვერსიები 3

1. მიზანი და გამოყენების სფერო 4

2. მოქმედი პრინციპები 4

3. განხორციელება 5

0. ვერსიები

ვერსია	თარიღი	ცვლილებები
01	27 ივნისი, 2018	საწყისი ვერსია. დამტკიცებულია FCC დირექტორთა საბჭოს მიერ

1. მიზანი და გამოყენების სფერო

პოლიტიკის მიზანია, დაადასტუროს FCC ჯგუფის ვალდებულება, ბიზნეს საქმიანობის დროს დაიცვას რეგულაციები და განავითაროს ეთიკური ქცევა, ეთიკისა და ქცევის კოდექსით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, რომლის მიხედვით, დაუშვებელია თაღლითობა და კორუფცია. არნიშნული ვრცელდება ჯგუფის ყველა თანამშრომელზე და კომპანიაზე, რომელზეც ხორციელდება FCC-ის მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლით მართვა.

2. მოქმედი პრინციპები

კორუფციის პრევენციის მიზნით, FCC ჯგუფი თავის ყველა საქმიანობას განახორციელებს საქმიანობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა ქვეყანაში, სადაც ის ოპერირებს, და ამასთან, იღებს ვალდებულებას საქმიანობის განხორციელებისას შესაბამისობაში იყოს ჯგუფის ეთიკის და ქცევის კოდექსით დადგენილ შემდეგ პრინციპებთან.

1. **კანონმდებლობასთან და ეთიკურ ღირებულებებთან შესაბამისობა -** მოქმედ კანონმდებლობასთან და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობა, FCC ჯგუფის ფასეულობების და ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად მოქმედება.

2. **ნულოვანი ტოლერანტობა მექრთამეობისა და კორუფციის მიმართ -**

   ა. ნულოვანი ტოლერანტობა: მექრთამეობის და კორუფციის წინააღმდეგ კულტურის ხელშეწყობა, სადაც აკრძალულია მესამე მხარეზე ზემოქმედება უპირატესობის, პროვილეგირებული მოპყრობის ან კომპანიისთვის სარგებლის მიღების გარანტიის მისაღებად.

   ბ. საჩუქრებისა და მასპინძლობის გაცემა და მიღება: FCC-ის საქმიანობებისთვის სარგებლის მომტანი საკომისიოს, გადახდების ან საჩუქრების შეუსაბამო, პირდაპირ ან ირიბად გაცემის ან მიღების თავიდან აცილება.

3. **ფულის გათეთრების პრევენცია და გამჭვირვალე კომუნიკაცია -** ფულის გათეთრების და/ან ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის რეგულაციებთან შესაბამისობის მიზნით ნაღდი ფულით გადახდებისა და ნაღდი ფულის მობილიზების თავიდან აცილება, ფულის წარმოშობის წყაროს და ფულადი სახსრების მიზნობრიობის მონიტორინგი.

4. **საზოგადოებასთან გამჭვირვალე ურთიერთობა -** შეუსაბამო გადახდების, როგორიცაა ფასილიტაციის მიზნით საჯარო მოხელეებისთვის გადახდების, შემოწირულობების სახით არამიზნობრივი გადახდების ან პოლიტიკური პარტიების, წარმომადგენლების ან კანდიდატების პირდაპირი ან ირიბი დაფინანსების თავიდან აცილება.

5. **ინტერესთა კონფლიქტი -** ბიზნესის მიმართ ლოიალურად და FCC ჯგუფის ბიზნეს ინტერესებით მოქმედება, თავიდან აცილება ნებისმიერი გარემოებების, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი პირად ინტერესებსა და ჯგუფის ინტერესებს შორის, იქნება ეს ჯგუფის გარეთ საქმიანობით ან გარიგებებით, თუ ჯგუფის ტრანზაქციებთან დაკავშირებული პირადი ან ფინანსური ინტერესებით გამოწვეული. ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ უნდა გაკეთდეს განაცხადი შესაბამისი არხების გამოყენებით.

6. **მონაცემთა ფლობისა და კონფიდენციალურობის მონიტორინგი -** ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ მოქმედ ყველა შესაბამის რეგულაციასთან შესაბამისობა, ჯგუფის შესაბამისი ზომების მიმართ პატივისცემა, რათა

თავიდან იქნას აცილებული გარე მხარეებისა და თანამშრომლების მხრიდან ინფორმაციაზე და/ან მონაცემებზე არასანქცირებული წვდომა.

7. გულმოდგინება კონტროლთან, სანდოობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით - კომპანიის ყველა ქმედების, ოპერაციისა და ტრანზაქციის შესაბამის დოკუმენტებსა და ჩანაწერებში ინფორმაციის კეთილსინდისიერად და სათანადოდ, ჯგუფის ინფორმაციის კონტროლის, სანდოობისა და გამჭვირვალობის პრინციპის გათვალისწინებით ასახვა.

8. ბიზნესპარტნიორების მიმართ ჩვენი ვალდებულების გავრცელება - გარანტია, რომ FCC ჯგუფი ამყარებს საქმიან კომერციულ ურთიერთობებს პარტნიორებთან, რომლებიც ავლენენ ეთიკურ ქცევას და მაღალი დონის ვალდებულებას ბიზნეს ეთიკის მიმართ, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ ურთიერთობებს, და ამგვარად, იმ პირების ან ორგანიზაციების კეთილსინდისიერების ნაკლებობის თავიდან აცილება, რომლებთანაც FCC აქვს საქმიანი ურთიერთობა.

9. FCC ჯგუფის ყველა თანამშრომლისთვის ეთიკისა და შესაბამისობის შესახებ უწყვეტი ტრენინგის ხელშეწყობა - თაღლითობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, ასევე, ამ პოლიტიკის ეფექტურად გავრცელებისთვის სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა, და დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციისა და გამოვლენის ღონისძიებების გატარება.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამშრომელს ექნება ინფორმაცია ან ეჭვი რაიმე სახის თაღლითობის ან კორუფციის შესახებ, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს FCC ჯგუფს მხილების არხის მეშვეობით, რომ შესაბამისობის ოფიცერმა შეძლოს მიაწოდოს ფაქტები შესაბამისობის კომიტეტს და დაიწყოს შესაბამისი მოკვლევა ფაქტების გამოძიებისთვის.

FCC ჯგუფი არ მოითმენს რაიმე სახის შურისძიებას ვინმეს მიმართ, ვინც კეთილსინდისიერად განაცხადებს მოვლენების შესახებ, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს ამ პოლიტიკის ან ეთიკის და ქცევის კოდექსის დარღვევას. თანამშრომლებს, რომლებიც დაარღვევენ ამ დებულებებს, დაეკისრებათ შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა, მათ შორის ხელშეკრულების შეწყვეტა, ასევე სხვა შესაძლო სანქციები ან/და სამართლებრივი ზომები.

3. განხორციელება

FCC ჯგუფს აქვს სხვადასხვა მექანიზმი ანტიკორუფციული პოლიტიკის სათანადოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად, ასევე თაღლითობისა და კორუფციის შემთხვევების თავიდან აცილების, გამოვლენის, მოკვლევისა და დასანქცირებისთვის, მათ შორის:

- **შესაბამისობის კომიტეტი,** რომელიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციის მოდელის გამართულ ფუნქციონირებას, მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, რისკებისა და კონტროლის ეფექტურობის მონიტორინგით, ასევე შესაბამისობის კულტურის ხელშეწყობით.
- **ეთიკისა და ქცევის კოდექსი,** რომელიც ჯგუფის ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომია, მოიცას FCC ჯგუფის ყველა თანამშრომლისთვის სავალდებულო ქცევის პრინციპებსა და წესებს.
- **მხილების არხი** დანერგილი კორპორატიულ დონეზე. იმართება კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრისა და შესაბამისობის კომიტეტის მიერ, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლებს შეუძლიათ ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაძლო დარღვევის ან დანაშაულებრივი ან თაღლითური ან კორუფციული ქმედებების შემცველი ქმედებების შესახებ ინფორმაციის გაგზავნა. მიღებული შეტყობინებები ან საჩივრები გაანალიზებული და მოკვლეული იქნება კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის მიერ (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ „მხილებელი არხის პროცედურა“ და „მოკვლევისა და

რეაგირების პროცედურა“).

- **პოლიტიკა და პროცედურები.** სისხლის სამართლის დანაშაულებების აღკვეთის მიზნით მიმართული რისკებისა და კონტროლის იდენტიფიცირება, რაც საჭიროების შემთხვევაში ჯგუფს საშუალებას მისცემს გაათავისუფლოს იურიდიული პირი პასუხისმგებლობისგან.
- **მიმღებლობის დადასტურება.** ჯგუფი პერიოდულად მოითხოვს თავისი ყველა თანამშრომლისგან, ოფიციალურად განაცხადონ, რომ მათ იციან და იცავენ ეთიკის და ქცევის კოდექსით და ანტიკორუფციული პოლიტიკით დადგენილ პრინციპებს და ამასთან, ჯგუფი თანამშრომლებისთვის ჩაატარებს აუცილებელ ტრენინგებს პოლიტიკების სათანადოდ გათავისებისათვის და მათი მხრიდან პოლიტიკებთან შესაბამისობისთვის.